# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/128 „11" მაისი 2017 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. ბიჭიას**
**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე**
**გამწესებაზე უარის თქმის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^{4}$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^{1}$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 17 თებერვალს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შოთა ბიჭია არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობებზე 3 წლის ვადით.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე